კლდე

№ 9

8 მარტი 1915 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

5 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

ცალკე ნომერი 10 კაპ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

წელიწადი მეოთხე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

სარჩევი: 1. მეთაური. 2. სახალხო განათლების სამინისტროს ახალი კურსი.—**სანდრო შ[illegible]ლისა.** 3. ჩვენს თავს მივუშველოთ.—**გ. გ—ისა.** 4. მშობლიური ჭანგები.—(ლექსი) **გრ. მეგრელიშვილისა.** 5 სიკვდილის ფრთებ ქვეშ.—**დ. კახრაძისა.** 6. ომი და ჩვენი მატიანე.—**შამქორისა.** 7. დღევანდელი ომი და მომავალი.—**ზიანისა.** 8. გრაფი ვიტტე.—**თ-ისა.** 9. ებრაელების დასაცავად. 10. ღია წერილი ბ-ნ ი. გედევანიშვილს.—**ქართლელისა** 11. ბიბლიოგრაფია.—**დიოგენისა.** 12. ჭრელ-ცხოვრება—**ი. იმერელისა.**

თბილისი, 8 მარტი.

ნომერი უკვე აწყობილი გვქონდა, როცა სააგენტოს პირით ქვეყანას ემცნო შემდეგი დეპეშა. ტექსტი, მის ბუნდოვანობის და ყოველივე გაუგებრობის თავიდამ ასაცილებლად, მოგვყავს რუსულად:

СЕВАСТОПОЛЬ, 4-го марта. Слѣдущій документъ, посланный нѣмецкимъ эмиссаромъ изъ Вице германскому посольству въ Константинополѣ, былъ перехваченъ по пути и сообщенъ корреспонденту Петроградскаго Телеграфнаго Агентства: „Нижеслѣдующую телеграмму прошу васъ переслать въ императорское германское посольство: Организація мусульманской Грузіи подготовлена хорошо. Оружіе распредѣлено. Мусульманѣ ушли въ горы. Точно такъ же отошли и русскія войска, а также пограничный кордонъ, отступившіе отъ границы къ рѣкѣ Чорукъ, гдѣ окопались. На основаніи послѣднихъ моихъ переговоровъ съ турками я установилъ, что послѣдніе имѣютъ, преимущественно, въ виду выступленіе мусульманской Грузіи и склонны отложить движеніе противъ христіанской Грузіи. Христіанская Грузія подготовлена нашими прокламаціями, однако населеніе ея относится съ недовѣріемъ организаціи, въ составъ которой входятъ преимущественно турки, и не увѣрено въ поддержкѣ германцевъ. Полный успѣхъ обезпеченъ въ томъ случаѣ, если населеніе Грузіи будетъ удостовѣрено въ поддержкѣ Германіи путемъ высадки и движенія впередъ нѣсколькихъ сотъ морскихъ солдатъ, подчиненныхъ національному комитету Грузіи. Мѣсто высадки расположено въ 50 километрахъ къ сѣверу отъ Батума, у устья Нотанеби, ибо окружающій этотъ пунктъ районъ населенъ исключительно грузинами. Доставка новаго транспорта оружія и снарядовъ представляется необходимой. Оружіе это можетъ быть доставлено миноносцемъ, который одновременно съ этимъ могъ бы взять на бортъ меня и грузинскій комитетъ, такъ какъ германскія войска должны находиться подъ предводительствомъ своихъ офицеровъ. Представляю го-

საჯარო ბიბლიოთეკა

сподина фонъ Шмидта посольству, которое могло бы командировать его въ какое-либо другое мѣсто“.

დღეს ზემო მოყვანილი მიზეზების გამო საჭირო განმარტებას და პასუხს ვერ ვაძლევთ, მხოლოდ ვიტყვით ერთს: ხელოვნურად იმუნდობლობისა და ყოველივე შექმნილს თავმოყვარეობის ამხდელი ატმოსფერის შემდეგ, რომელიც დამყარდა ჩვენს გარშემო ჩვენთვის ასეთი დეპეშა მოულოდნელი არ არის. პირიქით, იგი დაგვირგვინებაა იმ მისწრაფებისა, რომელიც დაიწყო ცნობილი დეპეშით კონსტანტინეპოლიდან „ჩოხიან და ხანჯლიან ქართველების“ შესახებ, დღემდის არ შეწყვეტილა, ხოლო დღეს მიაღწია უმწვერვალეს წერტილს, რომლის იქით გასავალი, ვგონებთ, აღარსაით აქვს!..

თვითონ სააგენტოს ცნობას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან გერმანელების იმედით და ცნობით, რუსეთს რევოლიუციის ცეცხლი სწვავს, პოლონეთს, მოლოროსებს და სხ. საკუთარი მეფე უზით. ამ მხრივ მას არავითარი შელახვა არ შეუძლიან იმ წმინდა მსხვერპლისა, რომელსაც საქართველო ეწევა რუსეთის წინაშე და სრულიად უმნიშვნელოც არის. სამნიშვნელოა იმ მხრივ, რა მნიშვნელობასაც აძლევენ მას ჩვენს ახლო გარშემო არსნი, როდესაც მას „დოკუმენტის“ სახელით ათავსებენ პერიოდულ გამოცემებში. აქ კი ბრალი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ გვედება, ჩვენ, რომელთაც ალბათ ვერ შევძლეთ ჩვენ წმინდა შემოქმედებისათვის შესაფერი ატმოსფერა შეგვექმნა და ჩვენი ერთგულებისა და სამსახურისათვის რუსეთის წინაშე ღირსეული პატივისცემა მოგვეპოვა და ყველა ეულს არ უნდა ჰქონოდა უფლება ჩვენი აბუჩადგდებისა, ჩვენი თავმოყვარეობის წეწვისა და მით, ამ საერთო პატრიოტულ აღფრთოვანების დროს, სახელმწიფოს წინაშე დანაშაულობის ჩადენისაც.

სახალხო განათლების სამინისტროს ახალი კურსი

გასულ წლის, მკათათვის კანონმა და სახალხო განათლების სამინისტროს დღევანდელმა კურსმა დიდ მნიშვნელოვანი საკითხი დაუყენა ჩვენს საზოგადოებასაც. მკათათვის კანონი უფლებას გვაძლევს კერძო სასწავლებლებში ქართულ ენაზედ ვასწავლოთ საგნები, ახალი მინისტრის კურსი და განზრახვანი კი ჰხრის სწავლა-აღზრდის საქმეს — ცხოვრებისაკენ, უკავშირებს მას, უსახავს უფრო სასარგებლო და გამოსადეგ მიზანს და, რაც უფრო საგულისხმიერო და არა ჩვეულებრივია რუსეთისათვის, საზოგადოებრივ ინიციატივასაც [illegible] ადგილს უთმობს ამ დიდ საქმეში, [illegible] დღემდის ყოველივე ნდობას მოკლებულს, დღეს დიდ ნდობას უცხადებს და მასწავლებელთან ერთად აკისრებს ზრუნვას მოზარდ თაობაზედ, იწვევს მის გონიერ და საღ გზაზე დაყენებისათვის. ჩვენთვის, რომელთაც „სიმწარე ბევრი გვინახავს, კეთილი ღმერთმა გვაშორა“, განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას. განსაკუთრებითი იმიტომ, რომ არსად სკოლა ისე გათიშული ცხოვრებისაგან, არსად ისეთი, არამცთუ უსარგებლო ცხოვრებისათვის, არამედ მავნებელიც კი, არა ყოფილა, როგორც ჩვენში. არაფერს მოვახსენებთ სახალხო სკოლებზედ. საშუალო სწავლის მიღებული სისტემა, ევრედ წოდებული კლასიკური განათლება, პირდაპირ დამღუპველი და გამათახსირებელი იყო ჩვენი ეროვნული სიმდიდრისა, შეგნებისა და თავ-მოყვარეობისა. კვალი ანორმალურ სწავლა-განათლებისა მძიმე ბეჭედათ აზის მთელ ჩვენ ცხოვრებას, მის ეკონომიურ, კულტურულ, ფსიხოლ. და თვით ფიზიოლოგიურ შემადგენლობის მხარესაც კი. ჩვენი უბედურობა მით ღრმავდებოდა, რომ რუსეთში მიღებულ სისტემას ადგილობრივი ჩვენი საკუთარი ცხოვრების პირობანიც ხელს უწყობდნენ. ეს პირობანი გახლდენ ის, რომ მეტად მრავალ რიცხოვანმა ჩვენმა სამღვდელო წოდებამ, თავად-აზნაურობამ რუსეთთან შეერთების შემდეგ დაჰკარგა თავისი ეროვნული დანიშნულება და ხსნა მოხელეობაში ჰპოვა. შეიქმნა რაღაც მანია მოხელეობისა, თავად-აზნაურობამ რუსის სამსახური დაისახა იდეალად ჩინოვნიკობისაკენ მიისწრაფოდა და მიილტვოდა სწორედ ისეთის გატაცებით, როგორც დასავლეთ ევროპაში, შინ საქმე გაწყვეტილი, (ჯარის წესი შეცვლილი) რაინდობა „ელდორადოს“ - ოქროს კუნძულის ძებნას მოჰყო ახალ ქვეყნებში. სამღვდელოებას მიბაძვა აღარ ესაჭიროებოდა, რადგან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგ, იგი მთლიან ჩინოვნიკურ იერარქიად გადააქციეს და სულიერ მამებს მხოლოდ იმაზედ და უნდა ეზრუნათ, რომ მრევლი შვილისათვის გადაეცად, ამისათვის უნდა იგინი სპეციალურ სასწავლებელში აღეზარდათ.

სამაგიეროდ მიჰბაძეს დაბალმა კლასებმა, და არც შეეძლოთ არ მიებაძათ, რადგან ულმობელი და უტყუარი კანონი ცხოვრებისა ისეთი გახლავთ, რომ,

როდესაც კი გამოდის ახალ ასპარეზზედ რომელიმე კლასი—იგი სცდილობს ის ადგილი და პატივი დაიკავოს, რა ადგილიც ეჭირა მასზე გაბატონებულ კლასს, გაუთანასწორდეს მას. ყველამ იცის თუ რა თავისებურ სიამაყით სავსე სულის აღორძინებას წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც ვინმე გლეხისა და მოქალაქისათვის, როდესაც თავის შვილს იმავე ღილებიან პალტოში ხედავს გამოწყობილს, რა პალტოშიც თავადის შვილია, და თუ თავადის ადგილზედაც ნახა თავისი შვილი ჩინოვნიკურ კაკარდით, ხომ მთელი აღდგომა არის!

აი ამ დიდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უხვად აღმოცენდა ჩვენ ქვეყანაში კლასიკური გიმნაზიები. ამ სასწავლებლებში აღზრდილი ინტელიგენციაც ხალხის სწავლა-განათლების წყურვილს აქეთა ჰხდიდა და ერთხელ გაქელილს გზას არ აცილებდა ხალხის ენერგიას. განა მოხელოსნე ინტელიგენციის ბრალი არ იყო, რომ მოზღვავებულმა წყურვილმა სწავლა-განათლებისამ 1905 წლ. შემდეგ იმავე ძველ ფორმაში ჰპოვა განსახიერება და ჩვენი პრინციპი აივსო კლასიკური გიმნაზიებით, თელავში, გორში, ხაშურში, სიღნაღში და სხვაგან —ყველგან ერთი და იმავე ტიპის სასწავლებლები გაიხსნა.

რეალურად ისეთი მცირედი რამ მოვიგეთ, რომ სათქმელადაც არა ღირს — ვიშოვეთ რამდენიმე ადგილი დირექტორისა და მასწავლებლებისა. წაგებით კი დიდი რამ წავაგეთ, გავამრავლეთ მსხვერპლი ჩვენთვის მავნებელ მიმართულებისა და რაც უფრო გულსაკლავია იმ სურვილთა და მისწრაფება აშლის და გამოაშკარავების დროს ჩვენმა მესვეურებმა დაამტკიცეს სრული თავისი სისაწყლე, ჩვენი ცხოვრების ალღოს აუღებლობა და სიბრმავე აღმართულ ჭეშმარიტების წინაშე

რა მოგვიტანა კლასიკურმა განათლებამ? მან მოსტაცა ჩვენ ხალხს მთელი ჩვენი ნასწავლი საზოგადოება, იგი თავისი ჭკუით, ენერგიით და ცოდნით მოაშორა ღვიძლს, ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს და მთელი თავისი ძალა და ღონე სამსახურს, ჩვენში რუსეთის გავლენის გაძლიერებას შეალია.

ამით ეკონომიურად და კულტურულად დიდი ძალა დავკარგეთ.

მეურნეობის ძველის წესის მოსპობის და ახალის განმტკიცების დროს საჭირო იყო ელემენტი დამმუშავებელი ბუნებრივი სიმდიდრისა და შუამავალი ჩვენსა და მათ შორის, ვისაც ჩვენ და ვინც ჩვენ გვესაჭიროებოდა. ასეთს ელემენტს ჩვენ სწორედ ჩვენი ჰუმანიტარული გიმნაზია გვაცლიდა, მათ სხვის სამსახურში აღვინებდა სულს და ჩვენ კი მათ მაგიერ სხვას, სომხობას, გვიგზავნიდა. ასეთმა სხვა და სხვა ხასიათის სარბიელმა თავისებური დაღი დაასვა ერთსაც და მეორესაც. [illegible] თანასწორი სარგებლობა მოუტანა [illegible]ობამ, საშინელად გაქნა ადამიანი, შეაჩვია იგი განსაცდელს, საკუთარის ხელით სარჩის შოვნას განუწყვეტელმა ზრუნვამ გაახარბა, შოვნა-ძიებაში, სხვის მისაკუთრებაში ყოველს საღსარს მიაჩვია, დაუნდობელი და ბოროტი გახადა. ის რასაც მოუღობდა საკუთარს მოხერხებას, ინიციატივას აწერდა. აქედამ დაებადა იმედი თავის საკუთარის ძალისა, დიდი წარმოდგენა საკუთარ და მინაგვარ არსებათა ძალის და ქონებაზე და ამ ქონების ყოვლად შემძლებლობაზე.

პირიქით მოხელეობის სარბიელი სულ სხვა მხრისაკენ ჰხრიდა ადამიანის ბუნებას. აჩვევდა მას ერთფეროვნებას. ჭკუას და გუნებას ერთ დასახულ საქმეს არ აცილებდა, უსპობდა ასპარეზს ფართო მოქმედებისას, ბუნებრივი ნიჭის და ძალის გაშლისას. მუდამ სხვისაგან წარმატების მომლოდინე სხვის ხელ-შემაცქეროლობას ეჩვეოდა, ჰკარგავდა იმედს და რწმენას საკუთარის ძალისას, საქმის გაუმჯობესობას სხვის წყალობას აწერდა, გუნება უფუჭდებოდა, სული უმდაბლდებოდა. ქონებრივი სარგებლობაც სხვა და სხვანაირი იყო. ერთი ულმერთოთ მდიდრდებოდა, სხვის ნაოფლარსაც კარგათ ირგებდა, მეორე წელ[illegible]ზე ფეხს იდგამდა და დღიურ ლუკმა-პურს ვერ გასცილდებოდა.

შედეგს ასეთის მოვლენისას სწორედ დღეს ვიწვნივთ მეტად მწარედ. უწყალოდ გაამპარტავნებული სომხობა დღეს მოკავშირობს დიდ რუსეთთან, საერთაშორისო პოლიტიკაში ფეხს სდგამს და პოლიტიკურ ზრახვათა განხორციელებას აპირებს აქ ჩვენ ქვეყანაში და ამავე დროს კი ჩვენი ბრწყინვალე წოდებაც კი მიუხედავად ჭეშმარიტად დიდის სამსახურისა მოხელის ნაბიჯით შედის მთავრობის არც ისე მსხვილ მოხელეებთან!

დამეთანხმებით, რომ ასეთი ბუნების პატრონნი დიდს კულტურულ სამსახურს ვერ გაუწევენ და ვერც უწევენ ჩვენს ეროვნულ საქმეს და ამიტომაც არის ჩვენი კულტურული ცა მეტის უფერულ-უსიცოცხლო ღრუბლებით არის მოსილი, და თუ რაიმე გამოცოცხლება ეტყობა ჩვენს ეკონომიურ კულტურულ-ეროვნულ ცხოვრებას, ეს მხოლოდ იმისი შედეგია, რომ ჩვენში გამოჩნდა ისეთი ძალა, რომელმაც რუ-

ტინულ გზას ფეხი აუქციეა, ან არა და თითონ ცხოვრებამ ჰკრა ხელი კლასიკური გიმნაზიებიდან მიმავალ გზიდამ. უკვე აშკარად შეეტყო, რომ ღვიძლ სიმდიდრეს პირიშო შვილებმა მოჰკიდეს ხელი და შედეგი ის გახლავთ, რომ მოსული, ულმერთოდ შეფიქრიანდა ეკონომიური სარჩული ჩვენის ცხოვრებისა კი ძლიერდება, ეროვნული შეგნება ირკვევა და აშკარავდება. ბევრი საბუთი გვაქვს, რომ ქართველი თავის სამშობლო სიმდიდრის დამმუშავებაში, აღებ-მიცემობაში სხვაზე არამცთუ ნაკლებ უნარს გამოიჩენს, არამედ თავის ბუნებრივ კეთილშობილებისა და დეენტლმენობის წყალობით გაცილებით წინ წაუსწრობს. ამისათვის საჭირო არის უკვე დაწყებული მსვლელობა, ცხოვრების ძლიერი ღელვისი შევიგნოთ და სწავლა-აღზრდის საქმეც მას შეუფარდოთ. უარი ვსთქვათ რუტინულ წესზე და მის დევიზად გავიხადოთ non scholae, sed vitae, რადგან ჩვენი ბედნიერება მხოლოდ ამაშია!

და აი ახალი კანონი და მიმართულება უმაღლესი სამინისტროსი გვაძლევს საშუალებას ამ ჩვენთვის მეტად სასარგებლო გზას დავადგეთ და მით ჩვენ ბუნებრივ სიმდიდრეს დავუბრუნოთ საჭირო ცოდნით აღჭურვილი საკუთარი ძალები. მხოლოდ მოხელეობის ხვრელში გაუვლელ ძალას შეეძლიან თავი გამოიდოს ერისათვის, გაჰფანტოს შავად მომბნელებული სვავების ფარა და ეროვნულ შემეცნებას საღი მიმართულება მისცეს. ამისათვის ბევრი რამ არის საჭირო, ბევრი რამისთვის არის საჭირო თავის გამოდება და ბრძოლა და ყველაფერ ამაში ერთს უმთავრეს საკითხს — სწავლა-აღზრდის სისტემის შეცვლაც შეადგენს. ჩვენის ღრმა აზრით საღად დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე გასაღებია მრავალ სოციალურ დიდმნიშვნელოვან საკითხის საღად გადაწყვეტისა და დღეს, თუ რაიმე საშუალება გვეძლევა ჩვენთვის აუარებელ მავნების მომტან სისტემის განსაღებისათვის, მოვალენი ვართ ყური ვათხოვოდ ცხოვრებას და მას შეუთანხმოთ ჩვენი მოქმედებაც. რას თხოულობს ჩვენგან ცხოვრება, როგორ უნდა შევცვალოთ სწავლა-აღზრდის საქმე არსებულ კანონიერ ფარგლებში?— ამაზე შემდეგ.

სანდროშვილი.

ჩვენს თავს მიეშველოთ

სწორედ ასეთი მიმართვაა საჭირო ჩვენი ერისადმი, რადგანაც დღეს ჩვენი ბედნიერებანი ბედენათ თავბრუ დახვეულია მოუულოდნელი და ძლიერ საგრძნობელი შთაბეჭდილებით, რომ ვერც კი გრძნობს ახალს და უსაშინელეს კარზე მომდგარს უბედურებას. (უფრო მართალი იქნება ვთქვათ საძირკველ გადმოგიჯდებულ უბედურებას).

მართლადაც თავბრუ დამხვევი უბედურება დაგვატყდა და ძლიერი სიმაგრე, კარგი ორგანიზაციაა არის საჭირო, რომ სულ არ დავიბნეთ და გაჭირვების სათანადო ბრძოლა გაუწიოთ. ომის საშინელებ-ს განცდა, მთელი ჯანსაღი და მებრძოლი ხალხის ბრძოლის ველზე გასვლა, აჭარის აკლება, მოუსავლობა და შიმშილობა, აკაკის გარდაცვალება, გელოვანის დაღუპვა, დანარჩენ უბედურებებზე ვერას ვამბობ, რადგან ამაზე ლაპარაკი აკრძალულია, დიახ სწორედ ამდენი უბედურება ჯერაც ძლიერს, კულტურულ ოვანს და ეკონომიურად განვითარებულს ერსაც კი გაჭირვებაში ჩაადგმევინებს ფეხს და მის ძალას დააბნევს და დაასუსტებს, თორემ ჩვენ ისედაც გაძვალტყავებულებს სხვა უბედურებებთან ერთად ცოტაც გვეყოფა. ჩვენ რომ ერთობა გვქონდეს ან თუ ქალაქის თვითმართველობაში რამე ძალა შეგვწევდეს, ან ეკლესია, ან კიდევ განვითარებული კომერციული საზოგადოებები, მაშინ არავითარი უბედურება არ იქნება ესე საშინელი და საგრძნობელი

მე მხედველობაში მაქვს ის, რომ სახადი თანდათან ფართოვდება და ახალ-ახალ რაიონებში გადადის, როგორც ცნობები მივიღეთ ავადმყოფობას თავი უჩენია ბათუმში და ქუთაისშიაც კი. ეს ისეთი უბედურებაა და საშინელება ჩვენთვის, რომ თუ ეხლავ არ მივიღეთ ზომები და ავადმყოფობა განვითარდა, ისედაც დაბეჩავებულს ხალხს სულ გააჩანაგებს და გაფლეჩს. ყველამ ვიცით თუ რა პირობებში სცხოვრობს ჩვენი ხალხი. დღევანდელი მისი პირობები სწორედ საუმჯობესო ნიადაგია სახადის უკიდურესად განსავითარებლად. ჯერ დიდი სისუფთავე ჩვენში აქამდისაც არ ყოფილა; საბუხაროდ დღემდე ჩვენს სოფელში თითქმის ვერსად ვერ შეხვდებით აბანოებს; დღეს კი აბანოების უქონლობის გარდა სხვაფრეც ვერ შესძლებს ხალხი საჭირო სისუფთავე დაიცოს, რადგან არ ააქვს საშვალება ამ სიძვირეში სუფთად ჩაცვას და ცაიხუროს, არ ააქვს

საშეალება კარგად სვას და სჭამოს, არ გვაქვს საავადმყოფოები, ან ბარაკები; არა გვყავს ექიმები და ფერშლები. ჯერ საერთოდ ჩვენს პროვინციებში ექიმები მეტად ცოტა იყვნენ, ომის შემდეგ ხომ სულ მცირედი რიცხვი და დარჩა; დაბა სოფლებში და ზოგან სრულიადაც უექიმოდ არიან; როცა ავადმყოფობა განვითარდება, რასაკვირველია არც იმათ დაინდობს და, როგორც ყველგან, ისინი უპირველესი მსხვერპლი გახდებიან. ესეთი, თითო ოროლა სადაც გვყავს, შესაძლებელია ხელიდან გამოგვეცალოს და სრულიად უპატრონოდ და უხელმძღვანელოდ დავრჩებით. უბედურს სერბელებს, როგორც სწერენ და ამბობენ, მთელი პერსონალი ექიმებისა ავად დახდომიათ და თითქმის გაწყვეტია სენს, თურმე წინააღმდეგობასაც კი ველარ უწევენ. სამარაში, თუ სარატოვში, ალარ მახსოვს, დაჭრილი დატყვევებული თათრებიდგან შეტანილი სახადით სულ ერთ ორ კვირაში 100 მეტი ექიმი გახდა ავად მაგრამ სადაც ხალხიც, ფულიც თავისუფალი მოქმედებაც და ორგანიზაციები არის, იმ ერს და ხალხს იმდენად საშიში არა აქვს რა, თუ კი ზომებს მიიღებს. მაგალითად ბულგარეთში, სადაც სახადი გაჩდა, აჯობეს ავადმყოფობას, რადგან ჰქონდათ ყოველნაირი ძალა შებრძოლებოდენ. გერმანელებს, თურმე, უსასტიკესი ზომები აქვთ მიღებული სახადის გაღვიძების და განვითარების წინააღმდეგ და აკი მათ იმდენად ვერას აკლებს. თათრებზე კი ამბობენ მათს ჯარს, რაც სახადი ყლეტს იმდენს მტერიც ვერას აკლებსო. ვიმეორებ ჩვენ კი ჩვენის თავის გარეშე დიდი მზრუნველი არავინ გვყავს და ამიტომ ხანაც და ველაც ჩვენზეა დამოკიდებული, თუ ჩვენ არ შევუდექით მოქმედებას, საშველი არ იქნება, როგორც სხვა გადამდებ სენის საბრძოლველათ ვიღებთ ხოლმე საშვალებებს, ვაარსებთ დაბა სოფლებში ბარაკებს, მაგ. ხოლერის დროს, შავი ჭირის მოლოდინის წინ, ისე ეხლაც უნდა მოვიქცეთ, ამასთანავე უნდა დავაარსოთ სოფლად და დაბა ქალაქებში სანიტარული რაზმები, შევასწავლოთ გამოცნობა და მოვლა ავადმყოფებისა, დავაკისროთ მათ თვალყურის დევნა სოფელ დაბაში მიმავალის ავადმყოფებისა და სხ. რასაკვირველია აქ ასეთი ორგანიზაციების შესაქნელად ბარაკების ასაშენებლად და მოსაწყობად, საექიმო მასალის. თუ სანოვაგის საშოვნელად საჭიროა სახსარი. ყველა ამის შესაქნელად და საშოვნელად საჭიროა მოქმედება. საქართველოს საეგზარხოსომ იკისრა სათათრეთიდან გამოქცეული აისორების მოვლა პატრონობა, რუსეთის ქალაქთა კავშირის, ერობათა კავშირის, ხაზინის და კერძო პირთა შემოწირულება, უხვად მიდის სხვის ქვეშევრდომების და სხვა სარწმუნოების ერის დასახმარებლად და მოსაწყობად. რასაკვირველია, ასეთი მოქმედება ძლიერ საამაყოა და საპატიოა და იმედიც უნდა ვიქონიოთ, ხედავენ, როგორც რუსეთის ქვეშევრდომთ, როგორც ერთმორწმუნე ერს, უმეტეს დახმარებას გაგვიწევენ და ამ საშინელ სენთან საბრძოლველად ყოველი მხრით ხელს გაგვიმართავენ.

თუ ასეთი თვით მოქმედებით მიზანს არ მივაწვიეთ და საქმე რიგზე ვერ მოვაწყვეთ. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ჩვენი უმოქმედობის მიზეზი იქნება, მაშინ სხვისი არავისი ბრალი ალარ იქნება, რომ სენმა სანაპეროდ გაგვწყვიტოს.

ᲒᲐ. Გ.

მშობლიური ჰანგები

განახლებისა საათმა დაჰკრა,
გაიასკეცე სამშობლოვ ნება,
სასტიკ გრიგალად გადააქცევ
გულს დამარხული ფარული ვნება.

—

ბედის ვარსკვლავი ღრუბელთა შორის,
ძალას იკრებავს: ნელ-ნელა კრთება,
შორს, ათასობით ივერიელი
ბრძოლისა ველზე ამაყად კვდება.
იმათი ღვაწლი შენსა ხსოვნაში
უწმინდესს ძეგლად აღიმართება...
როს ტბა სისხლისა დალეწ-დაანგრევს
შენი მონობის რკინის ბორკილებს,
მხოლოდ ეს აზრი ღიმილს ჰგვრის ტუჩზე
განსაცდელის დროს შენს შამაც-შვილებს.

* * *

მაგრამ არსებობს მეორე მხარე,
შენზე უფროორე დასჯილ ტანჯული
შენივე ძმები სცხოვრობენ იქ. თუმც
დრომ შეუცვალა მათ მცნება-რჯული.
გააგერანეს დღეს იგი კუთხე,
და ცეცხლმა შთანთქა, მათი სახლ-კარი,
ბავშვების კვნესას, ქალების მოთქმას;
თვის ხმას უერთებს ზუზუნით ქარი.
მხნე აჭარელი, გულადი ლაზი

უმანკო სისხლით ფართო ველს ჰლებავს
და სიკვდილში მყოფს, ის ანუგეშებს,
იმედის სხივით ის რწმენა ჰკვებავს,
რომ არ უარჰყოფს ქართველი ქართველს,
რომ ძმა მიჰხედავს თვის ნამდვილ ძმებსა,
და გულ გრილობით არ შეაშფოთებს
საფლავთ მდებარე წინაპართ ძვლებსა!..

* * *

ყური დამიგდე, ყური ქართველო,
ვინც უნდა იყო მიმართულებით,
გასაჭირის დროს შევერთდეთ ყველა
დიადი გრძნობის მძლე მავთულებით.
და მივეშველოთ უპატრონოდ მყოფთ,
მათ გაუწოდოთ მფარველი ხელი,
ხოლო, ვინც მარტო სიტყვა იქმაროს,
მყის შევაჩვენოთ მ-სი სახელი,
და ჩვენი ერის ცხოვრების წიგნში
დავსწეროთ: „ჰოი შთამომავალო,
ჩვენ თვითეულსა მხოლოდ ეს გვინდა,
ძევ მომავლისა შენ დაგვავალო
რომ მსჯავრი დასდო, ჰკრულო და ჰკიცხო,
სამარადისოდ მისი ხსენება,
ვინც თვისი ძმების განსაცდელის დროს
ჰპოვა სიმშვიდე და მოსვენება.„

—

განახლებისა საათმა დაჰკრა.
გაიასკეცე სამშობლოვ ნება,
სასტიკ გრიგალად გადააქციე
გულს დამარხული ფარული ვნება,
გრწამდეს თუ დღესა საქართველოს ძე
ბრძოლისა ველზედ უშიშრად კვდება,
იმისი სისხლი ბნელს წითლად შეჰღებს
და განთიადიც მოახლოვდება.

გრ. მეგრელიშვილი.

სიკვდილის ფრთებ ქვეშ

* * *

— არა, არ შემიძლიან, სამსონ! — შესძახა ქეთომ. — უშენოდ, ხომ იცი, ფრთა მოტეხილი ვიქნები. აბა, შენ თითონ გასაჯე, მე, რომელმაც ჩემი სიცოცხლის ყვავილი შენს სულის წალკოტში გავფურჩნე, მე... მაგრამ შენ უკეთ არ იცი? ჩამომხედე თვალებში, ჩამომხედე და ამოიკითხავ!

— მესმის, მესმის, მაგრამ მოვალეობა?..

მაგრამ ქეთოსთვის აღარავითარი მოვალეობა არ არსებობდა. ამჟამად მხოლოდ პირადი ბედნიერების დანგრევის სურათი უდგა და ამიტომაც ვერ შეჰგუებოდა იმ აზრს, თუ ვინმე იქნებოდა ისეთი ძლიერი, მბრძანებელი, რომელიც შესძლებდა შეჰხებოდა მის საკუთარ კერას, რომლის იქით თვით ღმერთიც კი აღარ ღმერთობდა. სამსონი კი ასე არ ჰფიქრობდა. მისთვის მოვალეობის ბრძანება უფრო უდრეკი იყო, ვიდრე მათი ცოლქმრობის კავშირი.

— ქეთო, გენაცვა, — არა ერთხელ უთქვია მისთვის, — შენ აზვიადებ. ეს მხოლოდ ქალური შიში, რომელიც ვაჟკაცს ჩრდილს აყენებს. და განა შენ თითონ არ იყავი, რომ ამ ნიადაგს მიმტკიცებდი, უნდა სახელოვანი იყო, გმირობა მაჩვენოო? ჩვენი გვარი ისტორიულია, ცხრა ძმა ერთად დაღუპულა ომში დღესაც მათი შთამომავალნი არ შევარცხვენთ საგვარეულოს.

ქეთოს მორცხვობამ გადაჰკრავდა. მართალი იყო: ერთ დროს იგი მართლა მისი ზეშთამგონებელი იყო. მაგრამ ეხლა თვითონაც არ ესმოდა, რად მოხდა, რომ ამ უმაგალითო ომის გამოცხადებით ნ მას შესჯავრდა სამხედრო მუნდირი, შეეზიზღა ყველა, ვინც კი იარაღს ატარებდა. აი, აიღებდა ჟურნალ-გაზეთიბას, დახედავდა მსხვერპლთა სურათებს, შემაძრწუნებელ კაცისჭამიობას, რომლის მზგავსი ისტორიას არ ენახა და თავში წაიშენდა:

— ვინ იცის, ისიც ამ სახით გაიწიროს. ვინ იცის...

ქეთომ დაჰკარგა მოსვენება, მძიმე, გამოურკვეველმა ნაღვლის რიდემ დაჰბურა მი.ი სული, სიცოცხლით მსუნთქავი ანაპერწკლებული შავი თვალები, რომელნიც მხოლოდ ერთ რამეს კითხულობდნენ: „რად? რად?. საშინელი წინაგრძნობა კი ყვავის ჩამოშლილ ფრთებით წარმომდგარიყო მის სულის ზღურბლთან და უჩინარი სახით მხოლოდ იმას ჩასჩხაოდა, რომ სიცოცხლის ჩანგის სიმთა ეღერა შესწყდა; ვერცხლის ზართა წკრიალს ვეღარ შეისმენთ აღ შემოსილ ცისკრის ფრთაზეო!

ქეთოც დამთვრალი იგონებდა ცის რვეულზე წარწერილ ცხოვრებას, როდესაც ქალწულ მოკრთალების კოშკიდან სიცოცხლის ზღაპარს გაჰყურებდა; ვით ცისარტყელის ხავერდოვან შვიდ ფერა ფრთასა. რა წარმტაცი სანახაობა იყო! მორცხვობის კდემა-მოსილებით ის შეჰხაროდა ტურფა რაინდს, რომელიც სამსონის სახით ეჩვენებოდა მაისის ვარდში, ველის თვალ-ჟუჟუნა ყვავილებში, მთის მწვერვალზე

მოწყვეტილ მთის ისრით დაჭრილი და ცის სისხლით შეღებილს კუშტად მოწყვეტილს ღრუბელში თუ ამაყად ატყორცნილს ალვის ხეში! იმ დროს ცა, მიწა, მხოლოდ სურნელობის ჭურჭლად გარდაქმნილიყო, რომ მხოლოდ ერთი მუშკი ამბარი დაეკმიათ სამსონის ხატების ასამაღლებ გასასხივოსნებლად!.. არა, ეს გაუმეორებელი ხელთუქმნარ მშვენიერების ტაძრად დარჩა, რომლის აღდგენას ვერარა სასწაული ვერ შესძლებდა. მოუტათ ქეთოს ახალი ვარდი, ახალი ყვავილები, ვარსკვლავთა ხომლზე დაკრეფილი ია-ზამბახი, ეს მაინც უფერული დარჩება! სულ სხვაა ხსოვნის სარბიელზე გამქრალი ხანა, როდესაც სამსონმა აფიცრის მუნდირი გადაიცვა და თავ მომწონედ ახარა თოვლის გუნდით ახალი წელი! სულ სხვაა, მისგან შეთავაზებული პირველი გაზაფხულის ყვაილი, პირველი შეწითლებული მინდვრის მარწყვი, პირველი ღამე, მთვარიანი ვერცხლის ღამე, მასთან რომ მარტოდ გაატარა! ცხოვრება ლეგენდად გაშლილიყო. სამსონი გაბრუებით მისვენებულიყო მის კალთაზე, გაჰყურებდა ცის ტატნობზე დამდნარ ვარსკვლავებს და მეოცნებე ქეთინოს აუწერდა დიად მომავალს, ომის სურათებს, როდესაც იგი ვით საშუალო საუკუნის რაინდი ამაყად აფრიალებდა საამაყო დროშას და ძლევა-მოსილი მის ფერხთა წინ განართხმიდა მტრის მედიდურობას. მაგრამ ვინ იყო ეს მტერი? მან არ უწყოდა, ეს თეორია იყო, ხოლო ომის სურათები მის ფანტაზიას უფრო ჰომიროსის ეპიზოდებიან გაეშალა, ჰანიბალისა და ნაპოლეონის ფარ-შუბთა და ზარბაზნების გრიალიდან, ვიდრე სამშობლოს წარსულ ცხოვრებიდან.

— ოჰ, რა კარგია, რა კარგი, — თრთოლვით იტყოდა ქეთო და ახლა თითონ მიეყუდებოდა სამსონს, გველსავით შემოავლებდა მკლავებს და ნაზი მოწიწებით დაუკოცნიდა მარმარილოდ გადაშლილს შუბლსა.

ახლა ზამთარი? ღმერთო, რომელი ზღაპარი იქნებოდა ისე ცელქი, ცქრიალა, როგორც ეს სუსხიანი ხუცესი! აი, ქეთო იგონებს ბზობის სურათს, როდესაც სამსონი სოფლად ეწვია მათ ოჯახს და სოფლელებთან ერთად მოჰყვნენ მხიარულ ყივილ-ხივილს. რა ამბავი იყო! მიძინებული ბუნებაც რა რიგი აღტაცებით შესცქრიალებდა მათ! აი, დაიძრნენ მარხილები, ციგები, აქვე ერთს ფერდობზე. ქეთოს თვალწინ უდგება ყოველი ბუჩქი, თეთრ ატლასის კაბით გამოკვართული თვითეული ხე, მოცინარი თოვლი, ალმასად აციაგებული მყინვარის სილუეტი, რომელიც ვარდის ფერ ფონზე ცისკრის სხივებში ბანაობდა და თვით ის თხემიც, საიდანაც რიგ-რიგად სრიალით ეშვებოდნენ მოციგავენი! აი, მისი რაინდი უკვე მზად არის: სამსონმა ციგა მოიმარჯვა, უკან ქეთინო შემოისვა... უკვე დაეშვნენ. მათ სხვები მოჰყვნენ [illegible] აღტაცება... ქვერნაკის გვერდით ხევი მისდევს... დიდი სიმარჯვეა საჭირო, თორემ ოდნავი გაუფრთხილებლობა და... მორჩა! მაგრამ ეს სიკვდილ-სიცოცხლესთან თამაში იყო მათთვის სანუკვარი, ისეთი თვალწარმტაცი და მიმზიდველი, რომ არც ერთს მათგანს შიში გულში არ გაუვლია! ეს იყო სიცოცხლის დღესასწაული, მშვენიერების დიდებული აპოთეოზი, რაიც ადამიანს წუთიერად ჰხდის ბუნების მეუფედ, ბუნების გამგებლად! და აი, ციგაც მისხლტის, შურდულივით მიჰქროლავს დაბლა. აი, გაშლილ ფერდობის კალთამდე ჩამოვიდნენ. დღესასწაული ცოცხლდება, წუთიც და დასასრულის რიგიც უნდა დადგეს, რომ კვლავ მწვერვალისკენ გაემართონ, რომ კვლავ განაგრძონ თავდავიწყებული სეირი. ცოტაც, ცოტაც და ჩამოვლენ კიდეც. აქ სამსონი მარჯვედ შეატრიალებს ციგას, რომ თოვლის საბანზე დასწეროს ქეთოს სახელი. მათ სიხარულით ეგებებიან — ახალი დღესასწაული...

ახლა ზაფხული? განა დაივიწყებს საგარაკოდ ზღვისაკენ წასვლას! განა შავი ზღვა არ იყო, რომ იალქნებ ჩამოშვებულ პატარა ხომალდს მოსტაცებდა და შიგ შუა გულში გადატყორცნილი ორთავეს ალავსებ ახალი წყურვილით, ახალი ცნობის მოყვარეობით, რომ უფრო შორს წასულიყვნენ, შორს, ახალ საიდუმლო კიდეთა აღმოსაჩენად! როგორ უსიტყვოდ ნეტარებდნენ! ქეთო მის მკლავზე მისვენებული ოდნავ წელში გადაზნექილიყო, მხურვალე გული სამსონის მკერდზე მიესვენა და ასე გაბრუებული გაჰყურებდა ლაჟვარდ ზვირთებზე მოსრიალე უცნაურ ფრინველებს. ათასში ერთხელ ამ უსიტყვო მდგომარეობას სამსონის ლაღი სიმღერა თუ დაარღვევდა, როდესაც განაბულ ქეთინოს კოცნის ცვარ-ნამით დაათრობდა და ინსტიქტიურად აწეულ მის მკლავებს მიაგებებდა კისერს, რომ ასე შემოხვეული ბედნიერ ეყო, როგორც ერთად გადახვეული ტალღები, რომელნიც მათს დანახვაზე თან ტაშს უკრავდნენ და თან უჩინრად იკარგებოდნენ უფსკრულისაკენ.

არა, ეს იყო ის თავდავიწყების ხანა, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შემოაშუქებს ხოლმე, მხოლოდ ერთხელ, რომ ვიგემოთ

ალფრთოვანების თავშეუკავებელი წარმართობა, ვნებათა უდოლმატო ქარიშხალი, რომელიც მხოლოდ დაუსრულებელ ზართა გუგუნში იხატება! და აი, ამის გახსენება ქეთინოს ჰკლავდა, შიშის ჟრუანტელ დავლილი ეხვეოდა სამსონს და სულ იმას სცდილობდა, როგორმე უარი ეთქმევინებინა გარდაწყვეტილებაზე ან და თუ ეს შეუძლებელი იყო, გაქცეულიყვნენ უცხო ქვეყანაში.

— ...მხოლიად იმიტომ, რომ ახლოს ვიყო. შენ მოგიართ და ასე კოცნის თავდავიწყებაში ღმერთამდე აღგამაღლო,—ეტყოდა ქეთინო. ისიც ხშირად ჩამოდიოდა გრძნობათა სისუსტემდე, ხვევნითვე უპასუხებდა ქეთოს და იდუმალის ხმით ჩასჩურჩულებდა: ნუ მეუბნები, შენ გრძნობათა მხევალი ხარ, ღვთაებრივი ქერუბი... შენი კოცნა... შენი ეს საუბარი უფრო მწველია ვიდრე ჩვენი სამხრეთული ვნების კოცონი, უფრო მგრძნობიერი, ვიდრე მშობელი დედის კოცნა... ჯადოქალი ხარ და გსურს, რომ ჩვენი ახალგაზრდობის საღმრთო ლეგენდა გადამალო, წარმართთა გრძნობა... არა, დაწყნარდი... დაწყნარდი ქეთინო... სახელოვანად დაგიბრუნდები და მაშინ...

მაგრამ ქეთოს ცრემლები აჩერებდა, უსიტყვო მდგომარეობა უეცრივ თვითონ სამსონსაც აქვავებდა, ვიდრე იდუმალებას თვითვე ქეთინო დაარღვევდა:

— შენ თვით გასაჯე... ქალს ქალობას ვერავინ დასძრახავს... იმედზე მითითებ, მანუგეშებ, მაგრამ გავიწყდება, რომ ეს იმედი თვითონ შენა ხარ, შენ, ეს ძლიერი სანუკვარი და საღმრთო არსება, რომელიც განგებამ მაჩუქა სუსტი ადამიანის სახით.

— შენ კი ჩემი სამარადისო სასძლო ხარ, ქეთო, რომელიც იმავე განგებით ჩემს მათრობელა ხაშხაშად გარდაიქმენ.

კიდევ სიჩუმე, საიდუმლო სიჩუმე, რომელსაც თვით მათი საუბარი ძლივს არღვევდა. ამ დროს ორთავეს სული მოეცვა უცნაურ ძალას, რომელიც თვალწინ უშლიდა მათ რომანტიულ მხარეს, რომელსაც ცხოველ სახისმეტყველებად გადაჰკვროდათ მწიგნობრული ომის საშინელი ლანდი. თვალუწვდენელი ველე, უდაბნო, მთები, თოვლიანი მწვერვალნი ომის ღმერთისგან შეძრულიყო. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ სიკვკლეც და შესაზარი ერთმანეთს ებრძოდნენ, როგორც ორი უკიდურესი სტიქია, როგორც სიკვდილ-სიცოცხლის თავგანწირული ბრძოლა. სანახაობის იერს ლაჟვარდი ფერი გადაჰკრავდა პერსპექტივებში ზურმუხტად აციაგებულ ზღვის გამო. ამ უსახელო ზღვის ნაპირები მორთული იყო დროშებით. ხომალდნი სწრაფად მოსცურავდნენ.. მაგრამ აი, დაიგრიალა ზარბაზანმა .. აქედან პასუხი გასცეს .. ყოველისფერი აირია. ილუპება ერთი, მეორე... ნაპირ[illegible] ახმაურეს სიმაგრეები. საცეცხლო არტილერია მხიარულად პრისხანდება, ვულკანისებურად დაიქუხებდა, ცეცხლის ენას გადმოასავსავებდა და, რა შეარყევდა მთელს ნაპირებს, კმაყოფილად შესწყვეტდა ბღუილს, რომ ჯერ ის თვის ელოდნა ...აგერ, გადმოხდნენ... იმართება ხელჩართული ომი.., საშინელება... კვდება ერთი... ადამიანი ადამიანს მხეცივით ვარდება... ყიჟინა... გოდება... კვნესა... ღმუილი... ქეთინომ შეჰკივლა, ველარ გაუძლო.

- ხომ ჰხედავ, ხომ ჰხედავ..?

ნაწყვეტებად წაილუღლუღა: შენც ასე უნდა მოიქცე?

მაგრამ სამსონი არ უპასუხებდა, მხოლოდ ცრემლებსა სწმენდდა თვალებიდან.

— ოჰ, რომ შემეძლოს.. რომ შემეძლოს, ცას, დედამიწას ავატირებდი და ჩემს უბედურებაზე ცრემლის ზღვად გარდავქმნიდი, რომ ჩემთან ერთად შემეყვირნა ომის ღმერთისთვის: შორს მაგ ტახტიდან..! მაგრამ...

— მაგარიც ის არის, ჩემო კარგო, რომ ეგ ოცნებაა, ქვეყანას ვერ დააკვნესებ, ზეცა კი ყრუა, რომ შენს ჩივილს ყური ათხოვოს, თუმცა სათითაოდ ესეთს წყევლის ჰიმნს მოიმღერს ყოველი დედა, ყოველი სასძლო... დანიშნული. ჩვენ ისლა გვშთენია, რკინის პირბადე ჩამოვიფაროთ როგორც ყო-

ამბავი სამშობლოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველთვის, რომ დავფაროთ ადამიანურ გრძნობათა ნამდვილი მეტყველება, მხეცი ავუშვათ ჩვენს გულში და ისე შევასრულოთ ის კაცი-ჭამია მოვალეობა, რაც მოვალეობად დაგვეკისრა უხსოვარ დროიდან.

— მაშ თუ ასეა, სამსონ, თუ შეუძლებელია გადარჩენა, მაშინ მეც შენთან ვიქნები, რომ ..

სამსონმა გაიღიმა, კოცნით მადლობა გადუხადა და რომ წუთით დაემშვიდებინა, დასტური დასცა.

— მართლა?

— რატომაც არა, შენც შეგიძლიან რაინდობა. შენ უნდა მიხსნა სწორედ იმ დროს, როდესაც გავსაცდელი თავს დამატყდება.

კიდევ გაუღიმა. ქეთინოს გული მოელბო, ცოტა არ იყოს, დამშვიდდა კიდეც:

— შენთან სიკვდილი, ჩემო სამსონ, იგივე სიცოცხლე იქნება!

— მეც მჯერა, მჯერა...

და მწველი ვარდი კვლავ შეჰქსოვეს თაიგულადა.

 დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

ომი და ჩვენი მატიანე

IV

ძნელი წარმოსადგენია ის აუარებელი შედეგები, როგორც მატერიალური, ისე მორალური, რომელსაც მოუტანს ეს ომი კაცობრიობას.

ათეულმა წლებმა უნდა გაიაროს, რომ კაცმა ზედმიწევნით მაინც შესძლოს ამ შედეგების წარმოდგენა და ანგარიშის გაწევა, თუმცა მაშინაც მათ გავლენას ბოლო არ ექნება მოღებული, უკანასკნელი სიტყვა არ ექნებათ ნათქვამი.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ კაცის გონება არ იცდის, სცდილობს თვალი გაუსწოროს მოვლენათ, აწმყო გაიცნოს, მომავალში შეიხედოს. და დღეს მთელი ქვეყანა ამ შრომაშია. განსაკუთრებით იმას აქცევენ თავის ყურადღებას, რაიც ახლო მომავალში ზარალს უქადის, დაქვეითებით ემუქრება. სცდილობენ, თუ თავიდამ მოსაშორებელია მოვლენა— თავიდამ მოიშორონ, თუ არა და როგორმე შეიმსუბუქონ მაინც. სულ ახალ და ახალ საზოგადო კავშირებს ჰქმნიან, ხელს უწოდებენ ერთმანეთს, ახალ და ახალ სახსარს იგონებენ ამ აზრით. საზოგადოება მთავრობას ეხმარება, მთავრობა საზოგადოებას ენდობა, დიდს საქმეებს აკისრებს, აძლევს საშუალებას ფართოდ გაშალოს და აამუშაოს თავისი ძალები. ეს აუცილებელი საჭიროებაც არის იმ ამბის მონელებისათვის, რომელიც ყველას თავზე დაატყდა. არა ერთი ასეთი ხიფათი ჩვენც კარზე მოგვდგომია და ჩვენც მოვალენი ვართ ვიფიქროთ მის შემსუბუქებისათვის. მოვიკრიბოთ ჩვენი საკუთარი ძალღონეც და მთავრობისაგანაც მოვითხოვოთ, რომ ამ ჩვენ ძალ-ღონეს ისეთი მსვლელობა და მოქმედების პირობანი მიეცეს, რომელშიაც მეტის სარგებლობით მოვიხმარებთ ამ ძალ-ღონეს. დღეს მხოლოდ ჩვენის ცხოვრების ეკონომიურ მხარეზე გვაქვს ლაპარაკი. გვეტყვიან სად არ შეაჩერა ეკონომიური მაჯის ცემა ომმა. მართალია, ყველგან იმოქმედა, მაგრამ ყველგან რაღასაც აკეთებენ, ზრუნავენ, პირს უმკლავდებიან. ჩვენთან კი არც არავინა ზრუნავს და ერობას, ან რაიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციის მოკლებულნი, ჩვენ კი არავითარი საშუალება არა გვაქვს ზრუნვა და — [illegible] საქმით ვაქციოთ.

ყველამ უწყის რომ საგრძნობელი ეკონომიური ზარალი უკვე განვიცადეთ. ახლო მომავალში მოგველის არა ნაკლები და რა იქნება მომავალში—ეგ ღმერთმა უწყის! ღვინის გაყიდვის აკრძალვა მძიმე ლოდათ დააწვა ჩვენს მეურნეობას და ჩვენი ქვეყნის იმ რაიონებს, სადაც მევენახეობა არის უმთავრესი ძარღვი ცხოვრებისა— შიმშილს უქადის. ასეთ მდგომარეობაშია მთელი კახეთი და ნაწილი იმერეთისა. ის ნაწარმოები ჩვენი ქვეყნისა, რომელიც უცხო ქვეყანაში ან შიდა რუსეთში, მიდიოდა გზების შეკვრის გამო, ადგილობრივ დარჩა; შრომა ვერ ავანაზღაურეთ და მაშასადამე სანაცვლო, ჩვენთვის საჭირო საქონელი ვერ შევიძინეთ. მრეწველობა ან შეჩერდა ბევრ დარგში ან საშინლად შემოკლდა. ასეთი ბედი, სხვათა, შორის, ჭიათურის მრეწველობასაც ეწვია, სადა ათასობით, უმთავრესად ქართველი, მუშა მუშაობდა. დღეს ესენი და მრავალი სხვა უსაქმოდ დარჩა. ხიფათი მოელით იმათაც, ვინც დღეს ადგილზეა. უსაქმოდ დარჩენილნი და უმთავრესად კი გამოქცეულები საშინლად დაბლა სწევენ სამუშავო ქირას და ამ მხრივ დღეს ადგილის მკონეს სამუშაოს აცლიან. დღეს თუ ამ გამოქცეულთა კონკურენციას ყურადღებას არ ვაქცევთ, იმიტომ რომ უმთავრესს ნაწილს ჯერ კიდევ ქველმოქმედებით ინახავენ, მაგრამ მოგეხსენებათ, ყოველივე ქველ-მოქმედებას ბოლო აქვს, ამასაც მოეღება ბოლო და მაშინ დიდი რეალურ საფთხეთ გახდება ჩვენი გარედ გასული მუშისათვის.

საერთოდ ასეთია ეკონომიური დანაკლისი ომისაგან გამოწვეული. მართალია ომი სუყველას არ ანგრევს. პირიქით ბევრს ულმერთოდ აშენებს დიდი ფოდრატებით, ჯართან ალებ-მიცემობით, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ—ჩვენ ასეთი შუამავალნი არ გვაბადია. ამ ახლო მომავალშიაც ისეთი ეკონომიური მუქარა მოგველის, რომ თუ არ ავიცდინეთ, ან არ შევისუბუქეთ, დიდხანს ველარ გავიმართებით წელში. მოგეხსენებათ—ჩვენი ქვეყანა სოფლური ქვეყანა გახლავთ, სოფლითა ვცხოვრობთ. თუ დღემდის სოფელი ქონებრივად ისე არა გრძნობდა ომის სიმწვავეს—ეს იმიტომ, რომ მოგვყვა იმათი ნაამაგდარი, ვინც დღეს ომში იბრძვის და ვისი მარ-

ჯვენაც იყო უმთავრესი მმოძრავი ძალა ჩვენის სოფლისა. აი გაზაფხულდა, იწყობა მუშაობა და საუკეთესო ნაწილი მშრომელისა კი აღარსად არის. სამწუხაროდ ჩვენ არა გვაქვს დანამდვილებითი ცნობები სოფლიდამ გაწვეულ ჯარის-კაცთა, რომ მის მიხედვით ვიანგარიშოთ რაოდენობა სამუშაო ხელის დანაკლისისა.

მე ჩემს თავს ნებას მივცემ მოვიყვანო ნამდვილი ცნობები რამდენიმე სოფლის შესახებ, რომელიც მეტად საგრძნობელს რიცხვს იძლევა.

სოფ. თ. გორის მაზრა: ორმოცდა თორმეტი კომლი. სულ მამაკაცი (16 წლიდამ—სამოც წლამდე—სამუშაო ხანა) იყო ომის დაწყებამდე—99.

ამ რიცხვიდამ ომში წავიდა 27 კაცი.

აქედამ დაუბრუნდა სოფელს ორი—დასახიჩრებული, ჯერ-ჯერობით შრომისათვის გამოუსადეგარი.

მაშასადამე სოფელს მოჰკლებია—26,73%.

ახლო-მახლო სოფლებში (ხ—ში, ს—, რ,კ.დ სხვ.) იმავე საზოგადოებისა პროცენტი ომში გაწვეულთა არა ნაკლებ 23% და არა უმეტესი 29%.

აი ასეთი ნაწილი ჯანსაღ და საუკეთესო მუშისა მოჰკლებია ჩვენს სოფელს, რომელსაც ისედაც არა ჰყოფნიდა საკუთარი ძალა. საქმე იმაშია, რომ გორის მაზრის სოფლები საჭიროებდენ მოსულ მუშამიაც. თოხნიდამ დაწყებული—სანამ ქინახული არ ჩალაგდებოდა—მოსული მუშაც ტრიალებდა. ისევ ის სოფელი, თ. რომ ავიღოთ—იგი საჭიროებდა არა ნაკლებ ათას ნაქირავებ სამუშაო დღისა წელიწადში. სხვა სოფლებისათვის ეს რიცხვი უნდა გავადიდოთ, რადგან სოფ. თ—ში მოიპოვება სამკალი, სათიბი, საფოცხი, რამდენიმე სანიავებელი მანქანა, რაიც შესამჩნევად ამცირებს სამუშაო ხელის საჭიროებას. ამ შემოსული მუშის იმედიც აღარ არის, რადგან ვინც შემოდიოდა (ამ რაიონში მოდიოდენ მთიულები, ოსები და წალკიდამ ბერძნები) ისიც ომში იქნება გაწვეული.

აი ასეთია ახლო მომავალში ჩვენი სოფლის ბედი, წარმოუდგენელი დაქვეითება და დაცემა მთელის მარტო ამის გამოც, სხვა მრავალი, ადვილად შესაძლებელი, ჭირი და სენი რომ არ დაგვატყდეს თავზე.

საჭიროა ტანჯვა და მომავალი მძიმე ყოფა როგორმე შევისუბუქოთ.

საჭიროა რომელიმე ჩვენმა საზოგადოებამ იკისროს თავზედ ინიციატივა, შეჰკრიბოს ყრილობა მეურნეთა, შეჰკრიფოს ყოველივე ცნობანი, შევიტყოთ სად როდის არის თავისუფალი მუშა ხელი (მაგ. ტირიფონაში მკისა და ლეწვის დროს მთის ხალხი უსაქმოდ არის) რომ ფასით მივაშველოთ.

ქალაქელი სომხობა მანქანების შეძენას, ინტენსიურ მეურნეობის შეთვისებას—შესწავლას უპირებს გამოქცეულთ და ნუ თუ ჩვენს [illegible] ჩაგვეთვლება რომ ამავე მანქანებით ან სხვა რამე საჭირო დახმარებით ხელი გაუმართოთ გასაჭირში ჩვენს ხალხს.

ბევრი რამ არის საჭირო სოფლისათვის და ამისათვის კი საჭიროა ჩვენი შეკავშირება, ძალთა მოკრეფა. საჭიროა რომელიმე ორგანიზაციამ თავზე იკისროს სწორედ ის ფუნქციეები, რომელსაც დღეს რუსეთში ერობა ეწევა ხალხის წინაშე. ჩვენ სიცოცხლეს არ ვიშურებთ სახელმწიფოსათვის, საუკეთესო ძალას ვწირავთ მას და დაუჯერებელია, უსამართლობა იქამდის მივიდეს ამ სიცოცხლის შემნახველი პირობანიც მარტო ჩვენ არ მოქვცენ.

შამქორი.

ებრაელების დასაცავად

„რუსკია ვედომოსტში“ დაბეჭდილია შემდეგი წერილი:

„მთელ თივის ნივთიერ და სულიერ ძალას ანდომებს რუსეთი დღევანდელ ომს, ამ ბრძოლაში ერთნაირად იღებს მონაწილეობას რუსეთში მოსახლე ყველა ხალხი. ჩვენ გვწამს, რომ რუსეთის სხვადასხვა ხალხთა მიერ სისხლი ტყუილად არ იღვრება და მათ მიერ შეწირული მსხვერპლი ამაოდ არ ჩაივლის. ჩვენ გვწამს, რომ ხალხი გადაიტანს ომის საშინელებას და გაორკეცებული ენერგიით შეუდგება უკეთესი, ბრწყინვალე მომავალის დამკვიდრებას. ეს ჩვენ ღრმათ გვწამს და მთელი ჩვენი არსებით გვსურს, რომ მომავალი ურთიერთობა რუსეთის ხალხთა შორის აგებული იყოს გონიერებისა და სინიდისის შეურყეველ საფუძველზე.

მარამ ამ ჩვენი ისტორიის დიდ დროს ღრმა მწუხარებით ვამჩნევთ, რომ რუსეთში მცხოვრებ ერთ-ერთი ერის გაჭირვებულ ცხოვრებას ემატება ახალ-ახალი ტანჯვა: განათლების მიღების უფლების შეზღუდვა ახლა მეტ ტკივილებს აგრძნობინებს ებრაელთა მოზარდ თაობას, ვინაიდან დასავლეთის საზღვარი დახურულია, ხოლო რუსეთის სასწავლებლებში პროცენტული ნორმაა ებრაელებისთვის შემოღებული; მტრისაგან აკლებულ ადგი-

ლების ებრაელებს უფლება არ აქვთ გადააბიჯონ „ბინადრობის რაიონს“, რაც ხშირათ იწვევს ოჯახის წევრთა გაშორებას, შვილებისათვის ომში დაჭრილი მამა—ჯარისკაცის ნახვის შეუძლებლობას და სხვა მწვავე ტანჯვას. ებრაელთა მრავალ-ტანჯული მოდგმა, რომელმაც ამდენი შესძინა კაცობრიობას, რელიგიის, ფილოსოფიის და პოეზიის სფერაში, რომელიც მუდამ ცხოველ მონაწილეობას იღებდა რუსეთის საერთო ჭირ-ვარამში. ხშირად ხდებოდა მსხვერპლი ბოროტ ცილას-წამებისა, მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ დაუმტკიცებია თავისი სიყვარული რუსეთისადმი. ეს მოდგმა ამჟამად კვლავ განცდის დღეშია და უსამართლო ბრალდებით შეურაცყოფილია.

რუსეთის ებრაელებმა, რომლებიც ჩვენთან ერთად მოღვაწეობენ ყველა დარგში, სადაც მათ ამის ნებას აძლევენ, იმდენი საბუთი მოგვცა იმისა, რომ მათ გულწრფელათ სურთ ჩვენთან ყოფნა. ჩვენი სახელმწიფოებრივი და სახალხო ინტერესებისათვის სამსახური,—რომ მათი უფლებრივად შეზღუდვა არა თუ დიდი უსამართლობა, იგი აგრეთვე სახელმწიფოსთვის მავნებელიც არის. მხოლოდ რუსეთში მოსახლე ხალხთა ერთობაშია სახელმწიფოს ძლერება და მხოლოდ ყველა მოქალაქეთა სრული გათანასწორება გახდის ამ ძლიერებას უძლეველ ძალად.

რუსებო, ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთის ებრაელებს სხვა სამშობლო, გარდა რუსეთისა, არ გააჩნიათ და ადამიანისთვის არა არის რა იმაზე უსაყვარლესი, როგორც ის მიწა წყალი, სადაც იგი დაბადა.

დავრწმუნდეთ, რომ სიკეთე და ძლიერება რუსეთის ბედნიერება და თავისუფლება რუსის ხალხისა მჭიდროდ დაკავშირებულია დიდი რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელ სხვადასხვა ხალხთა თავისუფლებასა და ბედნიერებასთან. ვიცნათ ეს ჭეშმარიტება დავიყრდნოთ ჩვენს გონიერებასა და სინდისს და სახელმწიფოებრივ შენების ერთ-ერთ პიროობად დავისახოთ ებრაელთა დევნა-შევიწროების შეწყვეტა და მათი ჩვენთან სრული გათანასწორება“.

ამ მოწოდებას 206 ისეთი გამოჩენილი მწერლები აწერენ ხელს, როგორიც არის მაქ. კოვალევსკი, გორკი, ანდრეევი და სხვები. მაგრამ ვშიშობთ თეორია და პრაქტიკა სხვადასხვა არ გამოდგეს.

გრაფი ვიტტე

28 თებერვალს გადაიცვალა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, განახლებული რუსეთის პირველი პრემიერ-მინისტრი და საფინანსო რეფორმატორი გრაფი ვიტტე.

გრაფი ვიტტე წარმოადგენდა ფრიად მსხვილ ფიგურას რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და შეუძლებელია მას გვერდი აუქციოს კაცმა, როდესაც ფიქრობს ყველა იმ დიდ რეფორმატულ აქტებზე, რომელნიც ენერგიულად იქნენ განხორციელებულნი.

ასეთია, მაგალითად, რეფორმა, რომელმაც მოსპო ხალისი და თვითნებობა რუსეთის კერძო სარკინისგზო საზოგადოებებში. ასეთია სასმელების გამოხდის სისტემის რეფორმა. ასეთივეა ფინანსიური რეფორმა, რომელმაც ბოლო მიუღო რუსეთის საფასურთა რყევას. ასეთივეა განსვენებულის მოღვაწეობა სახალხო განათლების ასპარეზზე. სადაც მან შექმნა მრავალი საკომერციო სასწავლებლები, და დაარსა სამი უმაღლეს ინსტიტუტი—წყალო ტექნიკურ, ეკონომიურის განათლებისა რუსეთში. ასეთივეა მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა სასოფლო-სამეურნეო ასპარეზზე, სადაც მან წამოაყენა მთელი რიგი სამეურნეო საკითხების და გამოწვია საზოგადოებრივი აზრის გამოფხიზლება რუსეთის ყველა მიყრუებულ კუთხებშიც კი. ასეთივეა მისი ენერგიული წინააღმდეგობა იაპონიასთან იმის ძომხრე პარტიისადმი, და შემდეგ მისივე თაოსნობით ჩამოგდებულ ზავის პირობებზე მოლაპარაკების გამართვა. საჭიროც აღარაა გავიხსენოთ—რომ გრაფი ვიტტე იყო ავტორი იმ უმაღლეს მოხსენებისა, რომელსაც მოჰყვა 1905 წლის 17 ოქტომბრის აქტი, საკონსტიტუციო მანიფესტი, რომელმაც რუსეთის ცხოვრებაში ახალი ხანა განამტკიცა.

გრაფმა ვიტტემ დაიწყო პოლიტიკური მოღვაწეობა 1888 წ. მაგრამ მისი ვარსკვლავი უფრო გაშარავანდედა რევოლიუციის ხანაში, და ამავე ხანის ძლიერმა ინტენსიურმა მოძრაობამ და პოლიტიკურ სფეროებში გამეფებულმა ინტრიგებმა დასცეს იგი. მას შემდეგ რაც მან უკანასკნელად დასდვა პორტფელი, ის პოლიტიკურ მოღვაწეობას აღარ დაჰბრუნებია.

ო.

ლია წერილი ბ-ნ

ი. გედევანიშვილს

თქვენი წერილი წავიკითხე „სახ. ფურც." ჩემს სასასუხოდ „ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის" შესახებ. დარიგებისათვის დიდად გმადლობთ. მაგრამ არ შეიძლებოდა არ შეგეხიშნოთ, რომ თქვენი ვიქიდობა ბევრად ვერ შველის ხსენებულ თხზულებათა გამომცემელს ბ-ნ მახ. გედევანიშვილს, ვინაიდან უმთავრეს დებულებებში მოახსენებით. რაც შეეხება წერილებს, სააქსუსურად ხაწილს, რაზედაც თქვენ გადიტანეთ სიმძიმის ცენტრი, სრულებით საგანს არ შეეხება. ვინა ვარ, რად ამოგვარეგიარ თვალდახიმს, ეს ბარადად ჩემი საქმეა. მაგრამ რომ დაგარწმუნოთ, რომ არც თქვენი, არც ბ ნ გამომცემელისა და არც თუ სხვა მსაჯულთა მსჯავრისა არ შეშინიან ჩემი ვინაობა გავამჟღავნო. ამითი მაინც დაგარწმუნებთ, რომ შემიძლიან სადაც გსურთ, როდესაც გსურთ ვინახულოთ, ან ჩემი სადარბაზო ბარათი გადმოგცეთ, ან კიდევ ჩემი ფოტოგრაფიული სურათი მოგართოვათ. მერწმუნეთ, ეგვალზე ოთახში გახდებით. შემდეგ არ გეხება სურათების ხელახლად გაკრიტიკებას. ამისათვის ახალი ისტორია შეიქმნება და ეს გამოცემა, მერწმუნეთ, „საისტორიოდ" სულ არ დგას, უგანსაკუთრესად შენიშვნაზე, რაც ნიშნავს „ბორტად არ უნდა ვისარგებლოთო", — ეგრეთვე ამ დებულების განმარტებას თვით ჩემს წერილში ამოიკითხავდით, მაგრამ, რახან თქვენ გსურთ, შეიძლებოდეს განვმარტო: ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც ვსთქვი, ჩვენი ხალხი გრძნობის ხალხია, ეფექტი უყვარს, ამისათვის არას ჭზოგავს, მაგრამ თუ დროებრივი ვერ შეეგრძნეთ და მისი გრძნობა მოტეეულია დარჩა, მაშინ მას ეკარგება ხალისი, ჭკარგავს ხოლმე ნდობას შემდეგისათვის. და თუ ჩვენ გავიხსენებთ არა ჩვეულებრივს რეკლამებს, ეურნალ-გაზეთებში ეფენს, ჭაიჭეის და დიდ მოდიდინს, ხოლო შემდგომად ამ მოდიდინის გატრეებასს, მაშინ დიდეგურად გასკვნით, რომ „ჩვენ ბორტად მოვიხმარეთ ხალხის ნდობა". შემდეგში გამოცდილება დაგარწმუნებთ ჩემს სიმართლეში, რომ კი თუ იმავე ავტორის თხზულებათა მეორე ტომის გამოცემაზე ხალხი ალარ მოგეგეთ და არა თუ თქვენ, თვით შემდეგში სხვებზეც დაჭკარგეთ რწმენა, აი, მაგალითად ხომ ამბობენ ახლა ავაკის თხზულებათა სრულის გამოცემას. დმერთმან ეწყის, წინა გრანდიოზულ მაგალითის შემდგომ რა ხალისით შეხვდება ჩვენი ხალხი ამ თხზულებათა გამოცემას! შემდეგ, თქვენ ამბობთ, რომ უმთავრესი დეფექტი გამოცემისა აუცილებელი იყო, თუ ქართველიშვილმა „ვეფხის ტყაოსანი" გამოსცა. ის მეგანატი იყო და მხატვრად ზიხი ჭეკდა მოწვეულიო, ჩვენ კი... მაგრამ განა ეს გასასამართლებელი საბუთია? ვინ გეუბნებათ, ბატონო ჩემო, გამოაცდიო ისეთი რამ, რაც ძალდადებულ ადამატება? ხომ ქართველი ეროვნ. ისტორია მარტო ჩვენით არ იხაზება! დმერთმა ნუროა ჭქნას! მოვა დრო საქართველო წელში გასწორდება, შეეჭვედია, ახალი „ეტენატი" გამოჩნდება და ჩვენს ხალხს ანგენებ ჩვენს მწერალთა იმ სიტენებო გამოცემას, რომელიც წელს წეეტავს არა მეტი დღევანდელ გამომცემლებს! მაგ სათანურით კი, ეერწმუნეთ, ალიას ხოზულებათა არა თუ ბიბლიოთეკა, მთელი ხოზულებანიც შეიძლებოდა, მართალია, არა დიდი გრანდიოზული სახით გამოგვეცა, მაგრამ სადად და კოხტად. უბრალოება და სიხალვე — ეს სილამაზის ფოკუსი! თქვენ, როგორც ხელოვნების მატრონეალეს, ეს კარგად უნდა გესმოდეთ და მიგვიხს, ამ ანბანურ ჭეშმარიტებას რატომ გაურბით და ეექიდობთ იმას, რაც გეშოვნება ავანთარებულ ადამიანს არ ეკუთვნება. ეოველიეე შემთხვევაში თქვენ მიერ გამოცემისა და განსაკუთრებით სურათების გამოსარჩლებას, ჩემდა სამწუხაროდ, ამ დასკვნამდე მივეეკარი.

პატივისცემით **ქართველი.**

ბიბლიოგრაფია

ჩვენმა რეაქციამ, როგორც ეწერდით, მიიდო ს. რ. გორგაძის „საქართველოს ისტორია", მაგრამ სისტემატიური კურსი მოზრდილოთვის. როგორც თვით ავტორი გვატყობინებს წინასიტყვაობაში, ამ წიგნის შედგენის დროს მას ესარგებლნია ჭეგო ვინკლერისა, კარლ ნიბურისა და, რაც უფრო საინტერესოა, ილ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიით". წიგნი ერთად საინტერესოდ არის შედგენილი. მეთოდი ისეთივე მარტივია, როგორც თვით გადმოცემა: სუბუქი ენა და საუბრის კილო. ეს დიდად სასარგებლო იქნება ჩვენი მოზარდი თაობისთვის. ეოველიეე შემთხვევაში ჩვენს ისტორიის სახელმძღვანელოთა შიმშილობის დროს ეს უძვირფასესი საშველება იქნება ჩვენი გათვითცნობიერებისთვის. დღემდე ჩვენ ეფრო სუფთა ეროვნული გვლეგვნი გვქონდა, მოდიანი, სისტემატიური კურსი არაკის მოუცია. ბრალია, ბიქრაძე, ჯანაშვილი და თვით ილ. ჯავახიშვილის უტალანტლეი ეკლესიური მრავალმხრივად მცირე მეითხვეულის მოთხოვნილებას ემსახურება და ფართო მასალისთვის თაიქმის ესარგებლოთ. ამათ არა თუ შესანეაულად, თვით ეასაკითხადაც კი ეაძზადებია საჭირო. ამ ნაკლოვანების განმტკიცებლად კი სწო-

რედ მისწრებია ასეთი გამოცემა და რომ ეს მართლა დიდად საგნიო და სასარგებლო ეფიქრა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ზემოხსენებული წიგნი მეორედ გამოიცა სულ მოგვე ხანში (ჯერ „ჯიჯოლში“ დაიბეჭდა 1910 წ. შემდეგ ცალკე წიგნაკად გამოვიდა, ახლა წელს ეს გამოცემა განმეორდა). სჩანს, მოთხოვნილება დიდი ეფიქრა და ეგ ტირაჟსაც ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიზანშეწონილი ადგილ აუღია.

მაგრამ არ შეიძლება ამ საეკლესიო წიგნის მესახებ ზოგი ერთი შენიშვნები არ შევიტანოთ. საქმე ის არის, რომ ავტორი ხშირად **მასალის ხროვას** იძლევა. ერთბაშად აერის, რაც მოზარდისთვის საგნებულად მიგვაჩნია, თუ გავიხსენებთ ჩვენ ახალგაზდობის სრულს მოწყვეტას საშუალო ისტორიის ნიადაგზე, მაშინ ნათელი იქნება, რომ ერთბაშად ბევრის მიგვეს, არა რაღაცნაირი იქნება. უცხო ენებში, მაგალითად, ისეთ ჭასაგში მოსულთ, რომელთათვისაც ეს წიგნი არის დაწერილი, შეეძლ ნიადაგი მომზადებული აქვთ, ბოლო ოთხ საუკუნეში საშუალო ისტორიის ეძეული ნელ-ნელ ასწავლიან. მათი წინაპარი ცდები ამ ხანში სულ ზედაპირულ სახით არის აწერილი, როგორც მდევების ისტორია. მაგრამ აქვე შეგვიძლია ერთგვარ ტენდენციას, რომ აღწერილობა ისტორიის უმოავრეს ხანების და მის დამამშვენებელ კერძების დასტრიალებს, ასე რომ ბავშვმა დიდი კარგია, ჭვნრიხ შეითხე, დიუდოეკები, ნაპოლეონი, თუ რეფორმაციის ბაირახტარნი ისეთივე სახით იცვიან, როგორც ჩვენმა ბავშვებმა მზეთ-უნახავის და ცხრათაკვალა ბაებზე დევების სახელები. ეოგელ წელს ჭხდება ისტორიის გაწმენდა, ზედმეტ ბუნდოვანობის გაფანტვა, ხსენებულ ბარების გარეკლიზაცია, მათ ხეებიც ემატებათ. ძველ და შემდეგ ეერადღებას აქცევენ კულტურას, ეკონომიურს მდგომარეობასა, მაგრამ აქ ბერიოდებითი შესწავლაა, საუკუნოებად დაყოფა და არა კიწრო სპეციალი შესწავლა. ვფიქრობთ, ჩვენ რაკიდა ამ განვითარების საფეხურამდე არ მივსულვართ და ჯერ მომზადების ბერიოდში ვართ, გარგაძის წიგნს რომ ნამდვილ ეფერ წერილმანი და სასტიკი ქრონოლოგია, ბევრად უმჯობესი იქნება, რომ ჩვენი მოზარდი თაობის გონება არ დავფალოთ. მაგალითად, დიდი ცოდვა არ იქნება, თუ ჩვენს ახალგაზდებს არ ეცოდინებათ რიდის ცხოვრობდა ოვრინგი, არსოკი, რიკი, ლადმ და სხვა. ბავშვის გონებას ისე არა ჭდიის რა, როგორც სიმშრალე, რაკარც ქრონოლოგიის გაზეპირება. რეს ისტორიულთა მორის მეთოდი სიმარტივისა და მეტი სარგებლობისა ისტორიის შესწავლად ბრალ. ეაბერმა მოიხერხა, რადგანაც ამ მეთოდით ჩვენი ისტორიის ნაბუდისტორებშიც რომ ისარგებლონ, ბევრად უმჯობესი იქნება, მაინ უძეტეს ჩვენი ქრონოლოგია ჯერ კიდევ შესწავლის ბერიოდშია, მეცნიერულად არ არის სიბოლოოდ გამოგლეული და მისი დაკისრება ახალგაზდობის თავზე, ვგონებ, საეკლესიო არ უნდა იყოს. მაგრამ ეეულა ეს წვრილმანია და ოდესაც ბრალის ეერ მიაეენებს ამ ერიად სასარგებლო წიგნს. ბოლო, გულწრფელი სურვილია ბ ნ გარგაძეს მეტი მხნეობა გამოეჩინოს, ჩვენი ისტორიის დასასრულებლად, რომ ადოქის თხზულებ მაღე ვიხილოთ მეორე და მესამე წიგნ ც. ასეთი ბარტივი და სადა ენით და გადმოცემით, როგორც ეს მიჩვეულია!

დიო. ენი.

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

16 ჯ ლ ღ ე. № 9

ამიღეშა ხელის მოწმობა

1915 წ.

ეროვნულ-კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ და სალიტ. ჟურნალ

წელიწადი მეოთხე.

„ჯ ლ ღ ე“-ზედ.

წელიწადი მეოთხე.

წლიური ფასი ხუთი მან., ექვსი თვით სამი მან.

ცალკე ნომერი ორი შაური.

ტფ. სახალხო თეატრი

დღეს, 8 მარტს, 1915 წ. გაიმართება **აპაპის დილა** განსვენ. მკოხნის აკაკი წერეთლის ხსოვნის აღსანიშნავად.

დილაში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი განდეგილი, მ. საფაროვ-აბაშიძისა; ბ.ბ. აბაშიძე კიტა, ვაჟა-ფშაველა, გომართელი ი., მაჭავარიანი ი., ლომაური ნ., რობაქიძე გრ., დეპუტატი კარლო ჩხეიძე, ფალიაშვილი ზ., ფოცხვერაშვილი კ. და ტფ. ეპარქიალური სასწავლებლის ქალთა გუნდი ი. კარგარეთელის ხელმძღვანელობით.

დილის შინაარსი: კრების თავმჯდომარის სიტყვა, სამგლოვიარო მარში შოპენისა, სიტყვები მ. საფაროვ-აბაშიძისა და გრ. რობაქიძისა, სამგლოვიარო მარში ბეტჰოვენისა მესამე — „საგმირო „სიმფონიიდან“, ლექსი აბაშელისა, სიტყვა ნ. ლომაურისა და კ. ჩხეიძისა, ტფ. ქალთა საეპარქიო სასწავლებლის გუნდი ბ. ი. კარგარეთელის ხელმძღვანელობით ტფ. მომღერალთა კერძო გუნდი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით; სიტყვები ი. მაჭავარიანისა და ი. გომართელისა; ლექსები: განდეგილისა, ვაჟა-ფშაველაში, სიტყვები: მ. მესხიშვილისა და კიტა აბაშიძისა, მუმღერალი გუნდი კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით.

დასაწყისი შუადღის 12 საათზე. ბილეთების ფასი ჩვეულებრივია. დარჩენილი ბილეთები იყიდება თეატრის შესავალში. მისაწვევი ბილეთები, ან ბილეთები არავის გაეგზავნება. აფიშები არ გაიკვრება.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა არ. მ. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.